ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.)

ორთაჭალა თბილისის ძველი უბანია. იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქალაქის სამხრეთ აღმოსავლეთით. თავდაპირველად ორთაჭალა ერქვა კუნძულს. ძველათ სანამ მტკვარს კალაპოტში მოაქცევდნენ თბილისსა და მის შემოგარენში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული იმყოფებოდა. ამ კუნძულებს შორის ყველაზე სახელოვანი იყო ორთაჭალა. კუნძული მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის იყო მოქცეული. ამით უნდა აიხსნას კუნძულის სახელწოდება, რომელიც თურქული და ქართული სიტყვების შეერთებით არის მიღებული კერძოდ, „ორთა“ თურქულად არის შუა, ესე იგი ორთაჭალა ნიშნავს შუა ჭალას.

ორთაჭალის ბაღების ნაწილი მეფის ოჯახის საკუთრება იყო, დანარჩენი კი თავადაზნაურობას ჰქონდათ დანაწილებული. ვახუშტი ბაგრატიონმა რომელმაც კუნძული თბილისის გეგმაზე აღნიშნა ორთაჭალა კრწანისის ბაღის სახელწოდებით აქვს მოხსენიებული. ეს იმით აიხსნება რომ კუნძული სოფელ კრწანისს ეკუთვნოდა. საცალფეხო ხიდი კუნძულს აკავშირებდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე უბანთან, რასაც მოგვიანებით ორთაჭალა ეწოდა.

XIX საუკუნეში კუნძული კერძო მესაკუთრეების ხელში გადავიდა და თანდათან ორთაჭალა თბილისელთა დასასვენებელ და გასართობ ადგილად იქცა. ორთაჭალის ბაღჩა-ბაღები არაერთი შემოქმედის შთაგონების წყაროდ ქცეულა. XX საუკუნის დასაწყისში აიგო ორთაჭალჰესი, აშენდა ჯებირები, რასაც მდინარის ტოტის დაშრობა მოჰყვა და ამისთვის კუნძულმა არსებობა შესწყვიტა.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდეს, არამედ უნდა ისწრაფოდეს გაიმარჯვოს საკუთარ თავზე.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ აკაკი წერეთლის ლექსი „სასოწარკვეთილება“:

1. ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო!
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო
2. ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში.
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
მხოლოდ მისთვის, რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამი აწ სამსახური!
3. დღეს პირველად და უკანასკნელად
დაუფარავად ვიტკენ შენზედ გულს
და აღარ ვმალავ იმ მძიმე ტვირთსა,
დღემდის კი მხოლოდ ჩემთან დამარხულს!
4. სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?
5. უსამართლობა, მტრობა და დევნა!
ცილისწამება გულის-საკლავი!
და საუკუნოდ განსასვენებლად
მოსწრაფებული შავი საფლავი!
6. შავი საფლავი, სადამდის მტრობა
ვეღარ ჩაყვება ძალმიხდილს მკვდარსა,
და მცილებელთა შავნი საქმენი
ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

7. უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს,
ეს მრწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ,
და სინიდისის სიწმინდისათვის
მტერ-მოყვარესა ჩემს ბედსა ვმადლობ!

8. დეე, მან დაჰგმოს ჩემი საფლავი
და მან დამქოლოს წყევისა ხმითა,
ვისაც ეშრომოს აქ ჩემზე მეტად
სიტყვით, ან საქმით, ან გულისთქმითა!

9. და მან გამკიცხოს და შემარცხვინოს
უსამართლოდ და უდროოდ მკვდარი,
ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით
სული წმინდა და გული მდიდარი!

10. მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო,
ჩემთან პირშავო ჩემო სამშობლო!
შენდობილ იყო ჩემგან ამიერ,
და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

(1) 3. რატომ უწოდებს ავტორი სამშობლოს დედინაცვალს?

ა) სამშობლოს კატეგორიული მოთხოვნებით შეწუხებულია.

ბ) სამშობლოს უსამართლობით გულნატკენია.

გ) სამშობლოში მას ხიზნად მიიჩნევენ.

დ) სამშობლოში მოღალატეს უწოდებენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 4. რა აზრის გამოხატვა სურს ავტორს პილატეს ხსენებით?

ა) ავტორი გულგრილია სამშობლოს მდგომარეობის მიმართ.

ბ) ავტორი დაინტერესებულია სამშობლოს მომავლით.

გ) სამშობლო გულგრილია ავტორის ბედის მიმართ.

დ) სამშობლო სათანადოდ აფასებს ავტორს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **5. ავტორის რა გადაწყვეტილება ჩანს II სტროფში?**

ა) გააძლიეროს ქვეყნის სამსახური.

ბ) დატოვოს ქვეყნის საზღვრები.

გ) თავი გაწიროს ქვეყნის ინტერესებისათვის.

დ) ხელი აიღოს ქვეყნის სამსახურზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. ავტორის როგორი განცდაა გამოხატული IV და V სტროფებში?

ა) თვითირონიული.

ბ) თვითკმაყოფილი.

გ) ოპტიმისტური.

დ) ტრაგიკული.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 7. ავტორის როგორი სულიერი მდგომარეობაა გამოხატული სიტყვით – „ძალმიხდილი“?

ა) აღშფოთებულია.

ბ) განცვიფრებულია.

გ) დათრგუნვილია.

დ) შეშინებულია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 8. რა აზრია გამოხატული სიტყვებით: „...შავნი საქმენი ფერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა“?

ა) ავტორი გახარებულია მის მიმართ საზოგადოების კეთილი დამოკიდებულებით.

ბ) ავტორი კიდევ ერთხელ მწარედ უსაყვედურებს სამშობლოს.

გ) ავტორს იმედი აქვს, რომ მის ღვაწლს ვერ დამალავენ.

დ) ავტორს საბოლოოდ აქვს დაკარგული მომავლის იმედი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. რატომ არის ავტორი ბედის მადლიერი?

ა) ბედმა არგუნა „უსამართლობა, მტრობა და დევნა!“

ბ) ბოლოს და ბოლოს, სამშობლოს კეთილგანწყობა დაიმსახურა.

გ) მისთვის შვების მომტანია „მოსწრაფებული შავი საფლავი!“

დ) მიუხედავად განსაცდელისა, სუფთა სინდისით ტოვებს ქვეყანას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. რით ამართლებს ავტორი თავის საყვედურს VIII სტროფში?

ა) დარწმუნებულია, რომ უდრტვინველად იტანდა „მტერ-მოყვარეთა“ მუდმივ საყვედურებს.

ბ) ეჭვობს, რომ სხვებზე ნაკლები დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშე.

გ) მიაჩნია, რომ სხვებზე მეტი დამსახურება მიუძღვის სამშობლოს წინაშე.

დ) ხედავს, რომ საზოგადოებას არასოდეს უცდია მისი შემოქმედების დაფასება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. რატომ მიიჩნევს ავტორი, რომ იგი არის „უსამართლოდ და უდროოდ მკვდარი“?

ა) იმიტომ, რომ ვერ შეძლო საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება.

ბ) იმიტომ, რომ თანამემამულეებმა ფიზიკური ტანჯვისთვის გაწირეს.

გ) იმიტომ, რომ სამშობლოზე დარდმა ნაადრევად დააბერა.

დ) იმიტომ, რომ სამშობლომ სათანადოდ არ დააფასა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 12. რა მხატვრული საშუალებაა „პირშავო... სამშობლო“?

ა) ეპითეტი.

ბ) ირონია.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 13. რატომ უსურვებს ავტორი სამშობლოს „კეთილ ბოლოს“?

ა) დარწმუნებულია, რომ თანამემამულეები გააპროტესტებენ მისი ღვაწლის დაუფასებლობას.

ბ) დარწმუნებულია, რომ სამშობლო ინანებს მისი შემოქმედების დაუფასებლობას.

გ) მიუხედავად ყველაფრისა, საკუთარ თავმოყვარეობას სამშობლოს ინტერესზე მაღლა აყენებს.

დ) მიუხედავად ყველაფრისა, სამშობლოს ინტერესს საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 14. შემოქმედისა და საზოგადოების ურთიერთობის თვალსაზრისით, რომელი ლექსი უკავშირდება აკაკი წერეთლის მოცემულ ტექსტს?

ა) გრიგოლ ორბელიანის „საღამო გამოსალმებისა“.

ბ) ვაჟა-ფშაველას „ღამე მთაში“.

გ) ილია ჭავჭავაძის „ჩემო კალამო“.

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 15. რა ფუნქცია აქვს ლექსის სათაურს?

ა) მოკლედ გამოხატავს ავტორის თვითკმაყოფილებას.

ბ) მოკლედ გამოხატავს ავტორის ფიზიკურ მდგომარეობას.

გ) მოკლედ გამოხატავს მთელი ტექსტის განწყობილებას.

დ) მოკლედ გამოხატავს სამშობლოს მონატრებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **16. რის შესახებ არ არის ამ ტექსტში საუბარი?**

ა) გაუსაძლისი გულისტკივილის.

ბ) სამშობლოს სიყვარულის.

გ) უსამართლობის, უმადურობის.

დ) შემოქმედებითი კრიზისის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. რომელ სტრიქონებშია გამოხატული ყველაზე მკაფიოდ ავტორის პატრიოტული სულისკვეთება?

ა) „და მან დამქოლოს წყევისა ხმითა,

ვისაც ეშრომოს აქ ჩემზე მეტად...“

ბ) „უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს

ეს მრწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ...“

გ) „შავი საფლავი, სადამდის მტრობა

ვეღარ ჩაყვება ძალმიხდილს მკვდარსა...“

დ) „შენდობილ იყო ჩემგან ამიერ,

და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ლირიკული გმირის პოზიციის მიმართ.
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებია გამოყენებული და რა ფუნქცია აქვთ მათ ამ ტექსტში.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ სედრაქი ჰყვება არაკს „მეფე ხორასნისა“:

იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილგონიერი, უხვი და მოწყალე. დღესა ერთსა გახსნა სამნი სალარონი და უხმო ყოველსა საბრძანებელსა, რათა ყოველმან დიდმან და მცირემან, დიდებულმან, გინა გლახაკმან ათორმეტსა ჟამსა, რაცა ეძლოს, წარიღონ. და წარიღეს ყოველთა და ვერა დაასრულეს სამნი იგი სალარონი.

მას დღესა ნადიმი გარდაიხადა, აფუცა ვაზირთა მისთა, თუცა რომელთა ასმოდეს, ანუ იცოდეს მისი მსგავსი მდიდარი და უუხვესი მეფე. ექვსთა ვაზირთა ფუცეს უსმენლობისათვის მსგავსისა მისისა. და უმცროსსა ვაზირსა გაეცინა.

ჰკითხა მეფემან:

– რის მიზეზისათვის იცინიო?

მან ფიცი სთხოვა მოუკვლელობისათვის. და მეფემან თავისი თავი ფუცა.

მას ვაზირსა რა გული შეუჯერდა, მოახსენა:

– ჩინეთის ქვეყანას ერთი ურია არის, მალქოზ ჰქვიან და მისი მოყმე არის დიდებული ვინმე. მისებრი უხვი არც უწინარეს ყოფილა და არც დღეის წაღმართ იქმნებისო.

ეწყინა მეფესა, მაგრამ ვაზირი იგი ფიცისად ვეღარ მოკლა და პატიმარ ჰყო. და თვით სამეფო სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა მის კაცისა ნახვად. მუნ მივიდა, სადა იგი ესახლა. თურმე წესი იყო კაცისა მის: სადაცა ვის უცხოსა ნახევდის, თვისსა მოიყვანის, აბანის, შემოსის, გაასვენის, საბოძვარი მისცის და განუტევის.

დღე ერთ ვლიდა ქალაქთა მათ გარემოს. და ნახა მეფე ესე სახითა გლახაკისათა; წარიყვანა და რომელი სხვათათვის წესი იყო, იგი მას უქმნა. რა შემოსა, ნახა, დიდად საპატიო იყო, ჰკითხა სადაურობა და ვინაობა და ყოველივე აამბობინა. ოდეს სცნა მეფობა მისი, დავარდა მიწასა უღირსად და დადვა თავი თვისი და ევედრებოდა უცნობობისათვის.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

აწვია და შეიყვანა სახლსა ერთსა ეგეთსა, რომე მას მეფესა მის სახლის მსგავსი არ ედგა უცხო და უცხოდ მორთული: ანუ საფენი, ანუ ფარდაგი ყოველივე სტავრა იყო. ნადიმი გარდაიხადა. ჭურჭელი ყოველივე შეწყობილი თვალი იყო. ყოველივე უძღვნა.

ცხრა დღე განუსვენა, დღე ყოველ უმჯობესსა სახლსა დასმიდის. მჯობი და უძვირფასესი ჭურჭელი მოიღის, უმხიარულე ნადიმი დაუდვის და ყოველივე უძღვნის. უკვირდა მეფესა დიდება და უხვობა მის კაცისა.

მეცხრესა დღესა ერთსა ასეთსა სახლსა აწვია, რომე დიდად უცხო იყო, და არცა მისი ქმნულება ითქმის. საფენი და ფარდაგი – საფერი, და ჭურჭელი მთელი თვალი იყო. გამოთლილი ყვავილნი იყვნეს და ხენი თვალისანი, შეფერებულნი მსგავსად, შვენიერნი. და ყოველივე უძღვნა. სამნი ესეთნი მგოსანნი ქალნი უძღვნნა, ვერც თვალი უკეკლუცესსა ნახევდა და ვერც ყური უამესსა ისმენდა.

წამოვიდა მეფე. არა წამოიღო რა განძთაგან: ერთი ალმასის თასი, და ერთი იაგუნდის საწდე, და ერთი ყვავილი თვალისა და სამნი მგოსანნი ქალნი. მადლი უბრძანა მასპინძელსა: ღვთის მოწყალებით მეც შემოგზღოო.

წამოვიდა და მოვიდა მისსა ქალაქსა. ვაზირი იგი პატიმარი პატიოსან ჰყო და ილხენდა.

მის კაცისა პატრონი იგი ურია მისანი იყო. სცნა ყოველი იგი ყოფილი, გაწყრა კაცსა მას ზედა, შეიპყრა, აიალაფა, მეხრლმეთ მისცა სიკვდილად.

წაიყვანეს მათ სიკვდილად. ევედრა მკვლელთა მათ მოუკლველობისათვის. და სამხრესა შინა ჰქონდა თვალი ძვირფასი; მით იყიდა სისხლი თვისი.

მათ კაცთა ეგრე არქვეს: პატრონი ჩვენი, თვითვე იცი, მოგვია, და თუცა ხმელთა ვლიდე, სამისნოთა სცნობს და შენ წილ ჩვენ დაგვხოცს. აწე ამას გიზამთ: კიდობანსა ჩაგსვამთ და მკვდრის აკლდამათა შთაგდებთო. და ჩადვეს.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ნახა ურიამან სამისნო მისი: ხმელთა ზედა აღარ იყო. დაიჯერა მოკლვა მისი.

მას ჟამსა მპარავნი აღდგეს, რომე აღარ დაუტევეს სახლი, გინა საფლავი დაუთხრელი. მოიწივნეს, სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიღეს. ნახეს მუნ – შიგ კაცი ჯდა და განუტევეს.

წავიდა კაცი იგი, მოვლო მრავალი ქვეყანა და უცნაურად მოვიდა ქალაქსა მას მეფისასა. მეფე მაღალთა დერეფანთა ზედა ჯდა ნადიმად და მგოსანნი იგი იმღერდეს. ერთმან მათგანმან იცნა პატრონი მისი ქვე გავლილი, ატირდა და ჩანგი ხელთაგან განვარდა.

ჰკითხა მეფემან:

– რა დაგემთხვიაო?

მან მოახსენა ნახული მისი. მონახეს კაცი იგი და პოვეს. აბანეს, შემოსეს, გამოასვენეს. მეორესა კვირასა შეჯდა მეფე, მიუხდა, ურია იგი მოსრა და საბატონო მისი მას მისცა. მას კაცს ესრეთ შეჰზღო.

– ეს არაკი ამისთვის მოგახსენე: ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას, და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. ხორასნის მეფის რა თვისება ჩანს პირველ აბზაცში?

ა) ხელმომჭირნეობა.

ბ) გულუხვობა.

გ) თავმდაბლობა.

დ) სიმამაცე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: „იყო ერთი მეფე ხორასანსა დიდებული, კეთილ-გონიერი, უხვი და მოწყალე“?

ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.

გ) ეპითეტი.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) **5. რაზე მეტყველებს ის, რომ** „წარიღეს ყოველთა და ვერა დაასრულეს სამნი იგი სალარონი“**?**

ა) მეფის სიძუნწეზე.

ბ) ქონების სიმცირეზე.

გ) ხალხის სიხარბეზე.

დ) აურაცხელ სიმდიდრეზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რა უთხრეს „ექვსთა ვაზირთა“ ხორასნის მეფეს?

ა) შენზე მამაცი და ბრძოლისუნარიანი მეფე ქვეყნიერებაზე არ არსებობსო.

ბ) შენზე მოწყალე და მიმტევებელი მეფე ქვეყნიერებაზე არ არსებობსო.

გ) შენზე კეთილი და სამართლიანი მეფე ქვეყნიერებაზე არ არსებობსო.

დ) შენზე შეძლებული და ხელგაშლილი მეფე ქვეყნიერებაზე არ არსებობსო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რატომ გაეცინა „უმცროს ვაზირს“?

ა) მას ხორასნის მეფეზე უფრო სამართლიანი ადამიანი ეგულებოდა.

ბ) მას ხორასნის მეფეზე უფრო მამაცი ადამიანი ეგულებოდა.

გ) მას ხორასნის მეფეზე უფრო გულუხვი ადამიანი ეგულებოდა.

დ) მას ხორასნის მეფეზე უფრო მკაცრი ადამიანი ეგულებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. რა იგულისხმება სიტყვებში: „მეფემან თავისი თავი ფუცა“?

ა) ჯილდოს დაჰპირდა.

ბ) დასჯით დაემუქრა.

გ) დაუსჯელობის პირობა მისცა.

დ) ერთგულებისათვის მადლობა გადაუხადა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რა იგულისხმება სიტყვებში: „მას ვაზირსა რა გული შეუჯერდა“?

ა) იფიქრა, მეფეს აუცილებლად უნდა ვასიამოვნოო.

ბ) დარწმუნდა, რომ აუცილებლად დაისჯებოდა.

გ) იფიქრა, სიმართლის თქმა არ ღირსო.

დ) დარწმუნდა, რომ არ დაისჯებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. რა მიზანი ამოძრავებდა მეფეს, როცა „სამოსელი განიძარცვა, სხვა შეიმოსა და წარვიდა“?

ა) სურდა ემოგზაურა, რათა საკუთარი სამეფოსათვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

ბ) სურდა დარწმუნებულიყო, რომ მის სამეფოზე უკეთესი სხვა ქვეყანა არსებობდა.

გ) სურდა შეემოწმებინა, მართალი იყო თუ არა უმცროსი ვეზირი.

დ) სურდა ემოგზაურა, რათა „უმცროსი ვაზირისაგან“ მიყენებული შეურაცხყოფა დაევიწყებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რას ნიშნავს „ევედრებოდა უცნობობისათვის“?

ა) ნანობდა, რომ გლახაკს მისი ასე მწარედ მოტყუებისათვის ვერ დასჯიდა.

ბ) ბოდიშს იხდიდა, რომ გლახაკს შესაფერისი მასპინძლობა ვერ გაუწია.

გ) ნანობდა, რომ მოტყუვდა და გლახაკის ტანსაცმლიანი ადამიანი შინ შემოუშვა.

დ) ბოდიშს იხდიდა, რომ გლახაკის ტანსაცმელში მეფე ვერ ამოიცნო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 12. რაში დარწმუნდა ჩინეთში მყოფი მეფე ხორასნისა?

ა) იქ მასზე მდიდარი და გულუხვი ადამიანი მართლაც ყოფილა.

ბ) იქ მასზე მდიდარი და გულუხვი ადამიანი არ ყოფილა.

გ) ჯობდა სამეფო ტახტს გამოთხოვებოდა და თავისი დიდება ჩინელისთვის დაეთმო.

დ) ჯობდა სასწრაფოდ თავის სამეფოში დაბრუნებულიყო და ვეზირზე შური ეძია.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 13. რის თქმა სურს ხორასნის მეფეს სიტყვებით: „ღვთის მოწყალებით მეც შემოგზღოო“?

ა) ღვთის წყალობა ადამიანს თან სდევსო.

ბ) ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შენთან შემახვედრაო.

გ) ღვთის წყალობა ადამიანმა ყოველთვის უნდა დააფასოსო.

დ) ღმერთი შემაძლებინებს, სიკეთე სიკეთითვე გადაგიხადოო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 14. რა შედეგი მოჰყვა იმას, რომ ხორასნის მეფეს ღირსეულად უმასპინძლეს?

ა) მეფის მასპინძელი გულუხვობისათვის თანამემამულეებმა დააფასეს.

ბ) მეფის მასპინძელი პატრონმა ღირსეული საქციელისათვის წაახალისა.

გ) მეფის მასპინძელი პატრონმა სასტიკად დასაჯა.

დ) მეფის მასპინძელი თავისი საქციელისათვის ხალხმა გაკიცხა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 15. როგორ გადაუხადა სამაგიერო ხორასნის მეფემ თავის ჩინელ მასპინძელს?

ა) თავისთან დაიტოვა და მეფის საკადრისი ძვირფასი საჩუქრები უძღვნა.

ბ) სასტიკ პატრონს მოერიდა და ხელის გამართვისაგან თავი შეიკავა.

გ) სასტიკი პატრონი გაუნადგურა და მისი საბატონო დაუმკვიდრა.

დ) თავისთან დაიტოვა, თუმცა ყოველმხრივ ერიდებოდა მასთან ურთიერთობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 16. რომელ ლიტერატურულ ხერხს იყენებს ავტორი თავისი სათქმელის გადმოსაცემად?

ა) გროტესკს.

ბ) მონოლოგს.

გ) ალუზიას.

დ) ალეგორიას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 17. რის შესახებ არ საუბრობს ავტორი ამ ტექსტში?

ა) უსამართლო სასჯელის.

ბ) ამაგის დაფასების.

გ) ღირსეული მასპინძლობის.

დ) მიჯნურისთვის თავდადების.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ხორასნის მეფის მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე